პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და სკკ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 23 მაისი, 1943 წ. № 112 (6737). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

22 მაისის დილის ცნობა

21 მაისის დამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

***

ნოეფოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა 2 ტანკი, 8 სატყვიამფრქვევი წერტილი, ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, დაანგრიეს რამდენიმე ბლინდაჟი და ააფეთქეს მოწინააღმდეგის საწყობი საომარ მასალიანად.

***

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა მოწინააღმდეგის 35 ავტომანქანა მოსპეს და 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს. ერთ უბანზე არტილერიის ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა თვითმფრინავი, რომელიც ძირს დაეშვა მოწინააღმდეგის პოზიციების რაიონში.

***

ბალაკლეის სამხრეთით 5 ნაწილის მებრძოლებმა გერმანელ მესანგრეთა ოცეული აღმოაჩინეს, რომელნიც ნაღმებს აწყობდნენ. ჩვენი მებრძოლნი თავს დაესხნენ ჰიტლერელებს და ამოწყვიტეს ისინი, ვინც წინააღმდეგობა გაუწია. რამდენიმე გერმანელი ჯარისკაცი წამოყვანილია ტყვედ.

***

დონის როსტოვის დასავლეთით კანტი-კუნტი საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლა გრძელდებოდა ორივე მხრივ. არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით დანგრეულია მოწინააღმდეგის 10 ბლინდაჟი და 3 სათვალთვალო პუნქტი, ჩაჩუმებულია რამდენიმე სანაღმტყორცნო ბატარეა.

***

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ფაულიტის მოწინააღმდეგის ერთ ასეულზე მეტი ქვეითი ჯარი, დაანგრიეს 9 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და 5 ბლინდაჟი, მოსპეს 6 ავტომანქანა და 5 საზიდარი ტვირთიანად. სნაიპერმა გვარდიის სერჟანტმა თევდორე ვიშნევმა შენიშნა გერმანელთა ავტომანქანა, რომელსაც სალაშქრო სამზარეულო ჰქონდა მიბმული. სნაიპერმა შოფერი მოჰკლა, ხოლო შემდეგ ცეცხლი წაუკიდა ავტომანქანას ჯავშანგამტანი-ცეცხლგამჩენი ტყვიებით. რამდენიმე გერმანელი ჯარისკაცი მიწურიდან გამოვარდა; მათ სცადეს ჩაქროთ ცეცხლი, რომელიც მანქანას მოეკიდა. ვიშნევმა მარჯვე სროლით კიდევ ოთხი ჰიტლერელი მოჰკლა.

***

ლტვიელ პარტიზანთა რაზმმა მოწინააღმდეგის რიგებთან ერთად ჭარბ ძალებთან ბრძოლაში 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტა და ტყვედ წაიყვანა 15 კაცი. რაზმმა მოწინააღმდეგის წაართვა 5 ტყვიამფრქვევი, რამდენიმე ათეული ავტომატი და ბევრი ვაზნა. ამავე რაზმის პარტიზანთა ჯგუფი თავს დაესხა ჰიტლერელთა ეშელონს, რომელიც მახლობელი სოფლების გლეხებს ძარცვავდა. საბჭოთა პატრიოტებმა ფაშისტი ბანდიტები გასწყვიტეს, საქონელი, პროდუქტები და ნივთები, რომლებიც გერმანელთა მოსახლეობისათვის წაერთმიათ, პატრონებს დაუბრუნეს.

***

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანიის 21-ე ავიაქვეითი დივიზიის მე-3 პოლკის ეფრეიტორმა ჰელმუტ კ-მ განაცხადა: „ინგლისის ავიაციამ დიდი ნგრევა გამოიწვია გერმანიის ბევრ ქალაქში. დუისბურგში დანგრეულია ელექტროლიტების ქარხანა, ფოლადმსხმელი ქარხანა, ცენტრალური ვაგზალი და სხვა საწარმოები. ჰამბურგში ინგლისელების მიერ ჩამაყრილი ბომბებით მოსპობილია ბევრი საწარმო. საჰაერო დაბომბვამ განსაკუთრებით დაუზიანა ბლომისა და ფოსის გემსაშენები. ბერლინშიც დიდი ნგრევაა გამოწვეული. მე ვნახე ნეონის ნათურების ფაბრიკის, ხორცის ქარხნის, კონსერვის ფაბრიკისა და სხვა საწარმოთა, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებათა შენობების ნანგრევები. გერმანიაზე მასირებულმა თავდასხმებმა დაბნეულობა გამოიწვია. ყველანი ხედავენ გერმანიის საჰაერო ძალების უმწეობასა და სისუსტეს. გერმანელები რომ თავშესაფარში მიდიან, წყვეა-კრულვით იხსენიებენ ამ ომის დამწყებ ნაცისტებს. გერინგი ოდესღაც გაიძახოდა, მტრის ვერც ერთი თვითმფრინავი ვერასოდეს ვერ გაბორავდება გერმანიის ტერიტორიაზეო. ბევრნი ახლა გერინგის ამ ცვენას იგონებენ და ამბობენ: „მართლაც, მტრის არც ერთი თვითმფრინავი არასოდეს არ მოფრინდება გერმანიაში მარტო. თვითმფრინავები ასობით მოფრინავენ და ამასთან არა მარტო ღამით, არამედ დღისითაც“.

***

ფაშისტთა ტყვეობიდან გამოქცეულმა ქ. ტაგანროგის მცხოვრებმა ვიქტორ გუდოვმა განაცხადა: „ქალაქში საშინელი თვითნებობაა გამეფებული. ოკუპაციის განმავლობაში ჰიტლერელებმა ქალაქ ტაგანროგისა და მისი მიდამოების მრავალი ათასი მშვიდობიანი მცხოვრები დახვრიტეს პეტრუშანსკაიას ხევის რაიონში. მარტში გერმანელმა ბარბაროსებმა იმავე პეტრუშანსკაიას ხევში 40 მეთევზე მოჰკლეს წამებით. სიკვდილით დასჯის წინ მათ თავიანთი საფლავები გაათხრევინეს. ფაშისტი მხეცები ცოცხალ ადამიანებს ჰყრიდნენ ორმოებში და მიწას აყრიდნენ“.

***

ფრანგი პატრიოტები გერმანელთა რკინიგზის კომუნიკაციებს ფუშავენ და მწყობრიდან გამოჰყავთ მოძრავი შემადგენლობა. ურავლის რაიონში ფრანგების ჯგუფმა რკინიგზის ხიდი აიფეთქა. სომის დეპარტამენტში თავისუფალმა მსროლელებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 4 ეშელონი. შარტხის დროს დაიმტვრა 110 ვაგონი და 3 ორთქლმავალი, მოკლულია 27 და დაიჭრა 37 ჰიტლერელი. ფრენიეში თავისუფალმა მსროლელებმა ავანდარშია რაზმი გაჰფანტეს და საპატიმროდან გაათავისუფლეს მუშები, რომელთაც უარი განაცხადეს გამგზავრებულიყვნენ გერმანიაში კატორღულ სამუშაოზე.

22 მაისის საღამოს ცნობა

22 მაისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

21 მაისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა 10-მდე ტანკი, 50-ზე მეტი ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, დამსხვრიეს 3 სარკინიგზო ეშელონი, ააფეთქეს საომარი მასალის საწყობი და საწყობი საწვავიანად, ჩაახშეს 5 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, ჩასხირეს მტრის საგუშაგო ხომალდი და ორი კატერი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ნაწილები დაზვერვას ეწეოდნენ და არტილერიის ცეცხლით სპობდნენ მტრის ცოცხალ ძალასა და თავდაცვითს ნაგებობებს. ყველა სახეობის იარაღის ცეცხლით დღის განმავლობაში მოსპობილია 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. 6 შენაერთის არტილერისტებმა მოსპეს მტრის 4 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და 17 ტყვიამფრქვევი, ჩაახშეს 4 საარტილერიო და 5 სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი, დაანგრიეს 6 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და ბლინდაჟი.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა. 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა იერიში მიიტანეს მტერზე და განდევნეს გერმანელები გამაგრებული პოზიციებიდან. ჰიტლერელები ცდილობდნენ აღედგინათ მდგომარეობა და რამდენიმე კონტრიერიში მოიტანეს. ამ ბრძოლაში მოსპობილია გერმანელთა ერთი ბატალიონამდე ქვეითი ჯარი, დამწვარია მტრის ერთი ტანკი და დაზიანებულია ორი ტანკი.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით გრძელდებოდა არტილერიისა და ნაღმსატყორცნების სროლა. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა გასწყვიტეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ჯარისკაცი, დაანგრიეს 2 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და 14 ბლინდაჟი. სნაიპერთა ჯგუფმა გვარდიის უმცროსი ლეიტენანტ ვასილიევის მეთაურობით 10 დღის განმავლობაში 125 ჰიტლერელი მოსპო.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე იმ საარტილერიო ქვეგანაყოფმა, რომლის მეთაურიც არის ლეიტენანტი ტკაჩუკი, რამდენიმე დღის განმავლობაში მოსპო მტრის ათზე მეტი ძელმიწური საცეცხლე წერტილი მათი გარნიზონებიანად. სხვა უბანზე მზვერავებმა ლეიტენანტ კარტავენკოს მეთაურობით მტრის განლაგებაში შეაღწიეს, ააფეთქეს 3 მიწური და გაუჟლიტეს 20 ჰიტლერელი.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე ჩვენი არტილერისტები უშენდნენ მტრის მოწინავე პოზიციებს და მძლეველი ზურგს. დანგრეულია 7 ძელმიწური საცეცხლე წერტილი, აფეთქებულია საომარი მასალის 2 საწყობი, მოსპობილია გერმანელთა 2 ქვეშეხი და რამდენიმე ავტომანქანა სამხედრო ტვირთიანად.

* * *

სმოლენსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა რკინიგზის ხაზთან საფარი მოაწყო. პარტიზანები უნარიანად შეინიღბნენ და ლიანდაგის ორივე ზარეზე ჩასაფრდნენ. მალე გამოჩნდა მტრის სამხედრო ეშელონი. საბჭოთა პატრიოტებმა ვაგონებს ტყვიამფრქვევები, ავტომატები და შაშხანები დაუშინეს, სროლის შედეგად მოკლული და დაჭრილია მრავალი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სმოლენსკელ პარტიზანთა სხვა რაზმმა გაანადგურა გერმანელთა გარნიზონი და მთელ რიგ ადგილებში აპყარა რკინიგზის ლიანდაგი. მატარებელთა მოძრაობა ამ უბანზე შეჩერებული იყო რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში.

* * *

გერმანელი ფაშისტი არამზადები სთელავენ ადამიანის ყველაზე ელემენტარულ უფლებებს და ღირსებას, მოტყუების, მუქარისა და მხეცური ძალადობის გზით გერმანიის მონობაში მიერეკებიან საბჭოთა მშვიდობიან მოქალაქეებს. ჰიტლერელებმა ვითომ სცადეს ამ დანაშაულობათა უარყოფა. მათ სურდათ საქმე ისე წარმოედგინათ, თითქოს საბჭოთა ადამიანები ნებაყოფლობით მიდიან გერმანიაში, თითქოს ისინი თვითონ აცხადებენ თანხმობას წასვლაზე და სხვ. ამ სიცრუეს აააშკარავებს არა სხვა ვინმე, არამედ გერმანელთა არმიის სარდლობა. ასე, მაგალითად, ბრანდენბურგში, რომელიც გამოცემულია გერმანელთა სამხედრო ხელისუფლების მიერ 20 აპრილს და გაკრულია ბელორუსიის სსრ პინსკის ოლქის ქალაქ დავიდ-გოროდოკში, ნათქვამია: „ვაცნობებთ დავიდ-გოროდოკის რაიონის მოსახლეობას, რომ გერმანიაში გასაგზავნი მუშახელის შეგროვების გენერალური რწმუნებულის განკარგულების თანახმად, დამწაესენი სისტემატიურად იქნებიან დასჯილნი, თვით დახვრეტამდე“.

ეს დოკუმენტი ერთხელ კიდევ ააშკარავებს დანაშაულებრივ ჰიტლერულ ხროვას იმაში, რომ ცდილობს რა იშოვოს მონები თავისი სამხედრო მრეწველობისათვის, იგი საბჭოთა მოქალაქეების მიმართ იყენებს უსასტიკეს რეპრესიებს, დახვრეტასაც კი. საბჭოთა ხალხი ეწევა ფაშისტი არამზადების ყველა ბოროტმოქმედებათა სრულ და ზუსტ აღრიცხვას და შორს აღარ არის ის დღე, როცა ჰიტლერელი მონათმოვაჭრენი მკაცრ სასჯელს მიიღებენ ყველა თავიანთი დანაშაულობისათვის.

თათბირი განათლების საკითხებზე

ამ დღეებში საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატში შესდგა განათლების განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც მოისმინა სამი მოხსენება. საქ. სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ბ. კიზირიამ მოხსენება გააკეთა შემდეგ საკითხზე: „1942-43 სასწავლო წლის დამთავრებისა და 1943-44 სასწავლო წლისათვის მზადების ამოცანები“. სას.-სამ. სამუშაოებში მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. სსრ განათლების სახ. კომისარიატის სახალხო განათლების დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსი ამხ. უ. ობოლაძე. საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარმა ამხ. გ. კიკნაძემ მოხსენება გააკეთა თემაზე: „სკოლის სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაში ზოგიერთ დამახინჯებათა შესახებ და ამ დამახინჯებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი“.

მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს განათლების განყოფილების გამგეებმა—გობრონიძემ (ქობულეთი), სანაძემ (დუშეთი), ქოლაიამ (გალი), სიმონიშვილმა (თეთრი წყარო), ტერსენოვმა (წალკა), სარიშვილმა (თელავი), ბიწაძემ (ჭიათურის რაიონი), ამიროვმა (სიღნაღი), დანელიამ (აბაშა), გიორგაძემ (ქუთაისის რაიონი), ბირკაიამ (ზუგდიდის რაიონი), საქ. სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილემ სამხედრო სწავლების დარგში ამხ. ავანესოვმა და საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. სარიშვილმა.

თათბირმა შეიმუშავა ღონისძიებები სკოლებში გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებისა და ახალი სასწავლო წლის მზადებისათვის, სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და სას.-სამ. სამუშაოებში მოსწავლეთა მონაწილეობის ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

ისტორიული როლი კომუნისტური ინტერნაციონალისა, რომელიც ძველი ომამდელი მუშათა პარტიების დიდი უმრავლესობის პოლიტიკური მარცხის შედეგად 1919 წელს შეიქმნა, იმაში მდგომარეობდა, რომ მან დაიცვა მარქსიზმის მოძღვრება მუშათა მოძრაობის ოპორტუნისტული ელემენტების მიერ მისი შერყვნისა და დამახინჯებისაგან, ხელს უწყობდა მთელ რიგ ქვეყნებში მოწინავე მუშების ავანგარდის დარაზმვას ნამდვილ მუშათა პარტიებად, ეხმარებოდა მათ მოეხდინათ მშრომელთა მასების მობილიზაცია თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების დასაცავად, ფაშიზმისა და იმ ომის წინააღმდეგ, საბრძოლველად, რომელსაც იგი ამზადებდა, საბჭოთა კავშირისათვის, როგორც ფაშიზმის წინააღმდეგ მთავარი დასაყრდენისათვის, მხარის დასაჭერად. კომუნისტურმა ინტერნაციონალმა თავის დროზე გამოაშკარავა ნამდვილი მნიშვნელობა „ანტიკომინტერნული პაქტისა“, როგორც ჰიტლერელთა მიერ ომის მომზადების იარაღისა. იგი ომამდე დიდი ხნით ადრე დაუცხრომლად ამხილებდა ჰიტლერელთა საზიზღარ ძირგამომთხრელ მუშაობას სხვა სახელმწიფოებში, რასაც ისინი ნიღბავდნენ ყვირილით ამ სახელმწიფოთა შინაურ საქმეში კომუნისტური ინტერნაციონალის ვითომდა ჩარევის შესახებ.

მაგრამ ომამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რომ რაც უფრო რთულდებოდა ცალკეული ქვეყნების როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ვითარება, მით უფრო მეტად შეხვდებოდა დაუძლეველ დაბრკოლებებს თითოეული ცალკეული ქვეყნის მუშათა მოძრაობის ამოცანების რომელიმე საერთაშორისო ცენტრის ძალებით გადაწყვეტა.

მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების განვითარების ისტორიული გზების ერმა განსხვავებამ, მათი საზოგადოებრივი წყობის სხვადასხვა ხასიათმა და წინააღმდეგობრივობამაც კი, მათი საზოგადოებრივი და პოლიტიკური განვითარების დონისა და ტემპების განსხვავებამ, დასასრულ, მუშების შეგნებულობისა და ორგანიზებულობის დონის განსხვავებამ განაპირობეს სხვადასხვა ამოცანებიც, რომლებიც დგას ცალკეული ქვეყნების მუშათა კლასის წინაშე.

განვლილი მეოთხედი საუკუნის მოვლენათა მთელმა მსვლელობამ და კომუნისტური ინტერნაციონალის მიერ დაგროვებულმა გამოცდილებამ დამარწმუნებლად გვიჩვენეს, რომ მუშათა გაერთიანების ორგანიზაციული ფორმა, კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი კონგრესის მიერ არჩეული, რომელიც შეეფერებოდა მუშათა მოძრაობის აღორძინების დასაწყისი პერიოდის მოთხოვნილებებს, სულ უფრო და უფრო შეუსაბამო ხდებოდა იმის მიხედვით, რაც უფრო იზრდებოდა ეს მოძრაობა და რთულდებოდა მისი ამოცანები ცალკეულ ქვეყნებში, და მუშათა ნაციონალური პარტიების შემდგომი განმტკიცების დაბრკოლებადაც კი იქცეოდა.

ჰიტლერელთა მიერ გაჩაღებულმა მსოფლიო ომმა კიდევ უფრო გაამწვავა ცალკეული ქვეყნების მდგომარეობის განსხვავება და ღრმა საზღვარი გაავლო ჰიტლერული ტირანიის მატარებლებად გამხდარ ქვეყნებსა და თავისუფლებისმოყვარე ხალხებს შორის, რომლებიც მძლავრ ანტიჰიტლერულ კოალიციად დაიკრიბნენ. იმ დროს, როცა ჰიტლერული ბლოკის ქვეყნებში მუშათა, მშრომელთა და ყველა პატიოსან ადამიანთა ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველნაირად შეუწყონ ხელი ამ ბლოკის დამარცხებას ჰიტლერული სამხედრო მანქანისათვის შიგნიდან ძირგამოთხრის გზით, ხელი შეუწყონ ომის დამნაშავე მთავრობათა დამხობას, ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნებში ხალხთა უფართოესი მასების და, უწინარეს ყოვლისა, მოწინავე მუშების წმიდა მოვალეობა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველნაირად დაუჭირონ მხარი ამ ქვეყნების მთავრობათა საომარ ღონისძიებებს ჰიტლერული ბლოკის რაც შეიძლება მალე განადგურებისათვის და იმისათვის, რომ უზრუნველჰყონ ერების თანამეგობრობა მათი თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ამასთან მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ ისიც, რომ ცალკეულ ქვეყნებსაც, რომლებიც ანტიჰიტლერულ კოალიციას ეკედლებიან, თავიანთი საკუთარი ამოცანებიც აქვთ. ასე, მაგალითად, იმ ქვეყნებში, რომლებიც ოკუპირებულია ჰიტლერელთა მიერ და რომლებმაც თავიანთი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაჰკარგეს, მოწინავე მუშებისა და ხალხთა ფართო მასების ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გაიაღონ შეიარაღებული ბრძოლა, რომელიც იქცევა ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ომად ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ.

ამავე დროს ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ თავისუფლებისმოყვარე ხალხთა განმათავისუფლებელმა ომმა, რამაც აამოძრავა ხალხთა უფართოესი მასები, რომლებიც, მათი პარტიული და რელიგიური კუთვნილების განსხვავების მიუხედავად, ირაზმებიან მძლავრი ანტიჰიტლერული კოალიციის რიგებში, კიდევ უფრო მეტი სიცხადით გვიჩვენა, რომ მასების საერთო-ნაციონალური აღმავლობა და მობილიზაცია მტერზე რაც შეიძლება მალე გამარჯვებისათვის ყველაზე უკეთ და ყველაზე უფრო ნაყოფიერად შეიძლება განახორციელოს თითოეული ცალკეული ქვეყნის მუშათა მოძრაობის ავანგარდმა თავისი სახელმწიფოს ფარგლებში.

კომუნისტური ინტერნაციონალის უკვე VII კონგრესმა, რომელიც 1935 წელს შესდგა, გაითვალისწინა რა როგორც საერთაშორისო ვითარებაში, ისე მუშათა მოძრაობაში მომხდარი ცვლილებანი, რომლებიც მოითხოვდნენ მისი სექციების დიდ მოქნილობასა და დამოუკიდებლობას მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრის საქმეში, ხაზგასმით აღნიშნა იმის აუცილებლობა, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი მუშათა მოძრაობის ყველა საკითხთა გადაწყვეტისას „გამოდიოდეს თითოეული ქვეყნის კონკრეტული პირობებიდან და თავისებურებათაგან და, როგორც წესი, თავს არიდებდეს უშუალო ჩარევას კომუნისტური პარტიების შინა-ორგანიზაციულ საქმეებში“.

ამავე მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა კომუნისტური ინტერნაციონალი, როცა მან ცნობად მიიღო და მოიწონა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის 1940 წლის ნოემბრის გადაწყვეტილება კომუნისტური ინტერნაციონალის რიგებიდან მისი გასვლის შესახებ.

ხელმძღვანელობდნენ რა მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა მოძღვრებით, კომუნისტები არასოდეს არ ყოფილან დრომოჭმული ორგანიზაციული ფორმების შენარჩუნების მომხრენი; ისინი მუშათა მოძრაობის ორგანიზაციის ფორმებსა და ამ ორგანიზაციის მუშაობის მეთოდებს მუდამ უქვემდებარებდნენ მთლიანად აღებული მუშათა მოძრაობის ძირითად პოლიტიკურ ინტერესებს, მოცემული კონკრეტული ვითარების თავისებურებებს და იმ ამოცანებს, რომლებიც ამ ვითარებიდან უშუალოდ გამომდინარეობენ. მათ ახსოვთ მაგალითი დიდი მარქსისა, რომელმაც დარაზმა მოწინავე მუშები მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის რიგებში, ხოლო მას შემდეგ, რაც 1-ლმა ინტერნაციონალმა საფუძვლები ჩაუყარა მუშათა პარტიების განვითარებას ევროპასა და ამერიკის ქვეყნებში და შეასრულა თავისი ისტორიული ამოცანა, მასობრივი ნაციონალური მუშათა პარტიების შექმნის მომწიფებული მოთხოვნილების შედეგად, განახორციელა 1-ლი ინტერნაციონალის დაშლა, რამდენადაც ორგანიზაციის ეს ფორმა უკვე არ შეეფერებოდა ამ მოთხოვნილებას.

ემყარება რა ზემომოყვანილ მოსაზრებებს და ითვალისწინებს რა კომუნისტური პარტიების და მათი ხელმძღვანელი კადრების ზრდასა და პოლიტიკურ სიმწიფეს ცალკეულ ქვეყნებში, აგრეთვე იღებს რა მხედველობაში, რომ ახლანდელი ომის განმავლობაში მთელი რიგი სექციები აყენებდნენ კომუნისტური ინტერნაციონალის, როგორც მუშათა საერთაშორისო მოძრაობის ხელმძღვანელი ცენტრის, დაშლის საკითხს,—კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, რაკი მას შესაძლებლობა არა აქვს მსოფლიო ომის პირობებში მოიწვიოს კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესი, ნებას აძლევს თავის თავს შეიტანოს კომუნისტური ინტერნაციონალის სექციების დასამტკიცებლად შემდეგი წინადადება:

კომუნისტური ინტერნაციონალი, როგორც მუშათა საერთაშორისო მოძრაობის ხელმძღვანელი ცენტრი, დაიშალოს, ამასთან განთავისუფლებულ იქნან კომუნისტური ინტერნაციონალის სექციები იმ მოვალეობათაგან, რომლებიც კომუნისტური ინტერნაციონალის წესდებისა და მისი კონგრესების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი მოუწოდებს კომუნისტური ინტერნაციონალის ყველა მომხრეს მთელი თავიანთი ძალები მოანდომონ ანტიჰიტლერული კოალიციის ხალხთა და სახელმწიფოთა განმათავისუფლებელი ომისათვის ყოველნაირად მხარდაჭერას და ამ ომში აქტიურ მონაწილეობას მშრომელთა მოსისხლე მტრის—გერმანული ფაშიზმის და მისი მოკავშირეებისა და ცასალების რაც შეიძლება მალე განადგურებისათვის.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები:

გოტვალდი, დიმიტროვი, უდანოვი, კოლაროვი, კოპლენიგი, კუუსინენი, მანუილსკი, მარტი, პიკი, ტორეზი, ფლორინი, ერკოლი.

ამ დადგენილებას უერთდებიან კომუნისტური პარტიების შემდეგი წარმომადგენლები:

ბიანკო (იტალიისა), დოლორეს იბაური (ესპანეთისა), ლეხტინენი (ფინეთისა), პაუკერი (რუმინეთისა), რაკოში (უნგრეთისა).

მოსკოვი, 1943 წლის 15 მაისი.

(„პრავდა“, 1943 წლის 22 მაისი).

ა. ი. ღვინერიას დაჯილდოება

აზოტის ქარხნების სიმძლავრეთა გადიდების და თავდაცვითი პროდუქციის დამზადების დარგში მთავრობის დავალებათა სანმიუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის აზოტის მრეწველობის მუშაკთა ჯგუფი, მათ შორის **შრომის წითელი დროშის** ორდენით დაჯილდოებულია ცელის უფროსი აკაკი ივანეს-ძე **ღვინერია.**

გერმანელთა თვითმფრინავების თავდასხმა კურსკზე

22 მაისს დილით გერმანელთა ბომბდამშენების დიდმა ჯგუფმა ავიაგამანადგურებელთა დახმარებით თავდასხმა მოახდინა ქალ. კურსკზე. მტრის თვითმფრინავებს ქალაქის ნისადგომებზე გზა გადაუღობეს ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა და საზენიტო არტილერია მათ ინტენსიური ცეცხლით შეხვდა. კურსკისკენ გამოჭრა მოახერხა გერმანელთა თვითმფრინავების უმნიშვნელო რაოდენობამ. უფსრაგოდ ჩამოყრილმა ბომბებმა ერთგვარი მატერიალური ზარალი მიაყენა საცხოვრებელ სახლებს. არის ზცირე მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში.

ჩვენი ავიაგამანადგურებლების მიერ თავდასხმის მოგერიებისას, არასრული ცნობებით, საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია გერმანელთა 56 თვითმფრინავი. გარდა ამისა, მტრის 9 თვითმფრინავი მოსპობილია საზენიტო არტილერიის ცეცხლით. ამრიგად, სულ ჩამოგდებულია გერმანელთა სულ მცირე 65 თვითმფრინავი. ჩვენ 10 თვითმფრინავი დავკარგეთ.

ქართველ მებრძოლთა წერილის პასუხად აძლიერებენ წითელ არმიისადმი დახმარებას

მებრძოლთა ფიცის პასუხად საბრძოლო-საქმეები

ქართველ მებრძოლთა შესანიშნავმა წერილმა პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის ბუშა-მოსამსახურეთა შორის. ეს მგზნებარე წერილი მიტინგზე წაკრთბილთ გააცნო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის რაიკომის მდივანმა ამხ. ე. ჩოფიკაშვილმა.

პატრიოტული აღფრთოვანებითა და სიამაყის გრძნობით იყო აღსავსე მიტინგზე გამოსული ამხანაგების გ. არუთინოვის, თ. ლაპარტელიანის, მ. გალუმიანის, ი. ლაფაჩიძის სიტყვები. ისინი ქართველ მებრძოლთა ტოწოდებას ახალი შრომითი ვალდებულებების აღებით უპასუხებდნენ.

— ჩვენი მამაცი მებრძოლები გვწერენ, — ბრძანებენ ამ ერთ-ერთ ადგილზე ეალს (სოციალისტური. საშრომლოს წინაშე, ოდ დაუნდობლად გაჟლეტენ ნაბუ ლეონ მტერს. ბოლისტოვა ოურდებს. ქართველი ოიკაცებმა ამ საბრძოლო ფიცს ჩვენ, ზურგის მუშაკებმა, საბრძოლო საქმეებით უნდა ვუპასუხოთ, რათა სულ უფრო და უფრო მეტი პროდუქცია მივცეთ ფრონტს,—განაცხადა IV საამქროს უფროსმა ამხ. ი. ლაფაჩიძემ.

მიტინგის მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ფაბრიკის კოლექტივი ვალდებულებად კისრულობს მეორე კვარტალის გეგმა შეასრულოს 105 პროცენტით.

ყოველმხრივ გავაძლიერებთ ფრონტისადმი დახმარებას

ფოთი („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). საწარმო-დაწესებულებებში, რკინიგზის კვანძზე და კოლმეურნეობებში უდიდესი ინტერესით ეცნობიან ქართველ მებრძოლთა წერილს საქართველოს მშრომელებისადმი. რკინიგზის სადგურის მუშაკების მიტინგს ქართველ მებრძოლთა წერილი და გაზეთ „პრავდის“ მოწინავე—„სურ კავშირის ხალხთა წმიდა ძმობა“ გააცნო სადგურის უფროსმა ს. ჯაიანმა. მიტინგზე სიტყვით გამოსულმა ცვლის ხელმძღვანელმა ვ. ცომაიამ თავისი ცვლის სახელით ვალდებულება აიღო 200-250 პროცენტით შეასრულოს ვაგონების დაცლა-დატვირთვის სადღეღამისო დავალება, იმუშაოს უწუნოდ და უაკარიოდ; საორთქლმავლო დეპოს ლუნინელმა მემანქანეებმა ა. ნებიერიძემ და ვ. სვანიძემ ქართველ მებრძოლთა წერილის სპასუხოდ ახალი ვალდებულებანი იკისრეს საწვავი მასალის ეკონომიისა და ორთქლმავლების გარბენის ნორმების გადიდების დარგში; სავაგონო დეპოს ვაგონების გამსინჯველი ცვლის ხელმძღვანელმა გ. ბალათურიამ ქართველ მებრძოლთა მოწოდების სპასუხოდ აიღო ვალდებულება 200 პროცენტით შეასრულოს ვაგონების შეკეთების გეგმა და გასწოოს სატები მასალის ეკონომია.

რაიონის კოლმეურნეებმა ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხეს ქართველ მებრძოლთა პატრიოტულ წერილს. კოლმეურნეები ვალდებულებას დებულობენ: კარგად მოუვარონ ნათესებს, პირველი თოხნა დამთავრონ 10 დღით ადრე, ჰექტარზე მიიღონ 20 ცენტნერი სიმინდის მოსავალი და ყოველმხრივ გააძლიერონ მშობლიური წითელი არმიისადმი დახმარება მტრის სრული განადგურებისათვის.

ვ. გუჯაბიძე

იკისრეს ახალი საწარმოო ვალდებულებები

ტყიბული („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). ტყიბულის მაღაროებში, შახტებში, საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში ხალხმრავალ მიტინგებზე რაიონის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით გაეცნენ ქართველ მებრძოლთა წერილს საქართველოს მშრომელებისადმი და „პრავდის“ 16 მაისის მოწინავეს.

ლენინის მაღაროში გამართულ მიტინგზე მეხუთე უბნის უფროსმა გ. ფანჩულიძემ მთელი კოლექტივის სახელით გეგმის 200 პროცენტით შესრულება იკისრა. მერვე უბნის უფროსმა გ. ჩიტაშვილმა განაცხადა, რომ მაისში უბნის მზადებას დაამთავრებს და ივნისში ყოველდღიურად ამოიღებს 150 ტონა ქვანახშირს. ქვანახშირის მნრეველებმა და მტვირთავებმა გ. კუპრაშვილმა, ნ. მეზანინეშვილმა, ვ. ფანჩულიძ

ლენინის ორდენისა და ოქროს მედალ „ნამგალი და ურო“ გადაცემა სოციალისტური შრომის გმირ წითელ არმიის მთავარ ქირურგ ნ. ნ. ბურდენკოსათვის

20 მაისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ გადასცა სოციალისტური შრომის გმირს წითელი არმიის მთავარ ქირურგს სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტ აკადემიკოს ნ. ნ. ბურდენკოს.

სეერდლოვსკის დარბაზში შეიკრიბნენ საბჭოთა მედიცინის უაღრესად თვალსაჩინო წარმომადგენლები.

მ. ი. კალინინის ხელით ლენინის ორდენის და ოქროს მედალის „ნამგალი და ოროს“ მიღებისას ამხ. ნ. ნ. ბურდენკომ მღელვარებით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა. შემდეგ ილაპარაკეს: სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ს. ა. კოლესნიკოვმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ აკადემიკოსმა ს. ი. სპასოკუკოცკიმ, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ წითელი არმიის მთავარი ქირურგის მოადგილემ ს. ს. გირგოლავამ.

მ. ი. კალინინმა შემდეგი სიტყვით მიმართა დამსწრეთ.

— ამხ. ბურდენკოს დაჯილდოებას, — ამბობს ამხ. კალინინი,—დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ეს დაჯილდოება იმას მოწმობს, რომ ჩვენი წითელი არმიის სამედიცინო მომსახურება დგას საავიაციო, საარტილერიო მომსახურების დონეზე, რომ არმიის რიგებში სამედიცინო მუშაკები ისევე საჭირონი არიან, როგორც მებრძოლნი და მეთაურები.

ამხ. ბურდენკოს დაჯილდოებას უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობაც აქვს: იგი საბჭოთა მსოფლმხედველობის, ადამიანის სიცოცხლის ღირებულებისადმი საბჭოთა დამოკიდებულების მკაფიო დადასტურებაა. ყველაზე ძვირფასი რამ. რაც ჩვენ მოგვეპოვება, ჩვენი ქვეყნის მთავარი სიმდიდრე ხომ ჩვენი, საბჭოთა ადამიანები არიან. ამიტომ ადამიანთა ჯანმრთელობის, მათი შრომისუნარიანობის დაცვა ერთ-ერთი ყველაზე უფრო კეთილშობილური სახის საქმიანობაა.

ორი ათეული წლის დაძაბული მუშაობის განმავლობაში ჩვენ ვიწყეთ უზრუნველყოფილობის ფართო გზაზე გამოსვლა, ჩვენს ქვეყანაში ცხოვრების მატერიალური დონე განუწყვეტლივ მატულობდა. და აი ამ ორი ათეული წლის განმავლობაში ადამიანთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებასთან ერთად ჩვენში მიმდინარეობდა არანაკლებ ინტენსიური განვითარება ჩვენი საბჭოთა მედიცინისა. მიმდინარეობდა სამედიცინო დახმარებით ადამიანთა მომსახურების განუწყვეტელი გაუმჯობესება. ის გარემოება, რომ ჩვენი მთავრობა და პარტია საქმიანობის ამ დარგს კი არ ჩრდილავდნენ, არამედ, პირიქით, დაუფლალავად წინ მიჰყავდათ იგი,—ეს გარემოება ახასიათებს საბჭოთა წყობილების საფუძვლებს, მის ყურადღებას ადამიანისადმი, როგორც ჩვენი ქვეყნის ყველაზე ძვირფასი კაპიტალისადმი.

და უნდა ითქვას, რომ მთავრობის ეს მეცადინეობა ამაო არ ყოფილა. ამ მეცადინეობამ ომის პერიოდში, ე. ი. ისეთ მომენტში, როცა ჩვენი ქვეყნის ძალები მეტად დაძაბულია, ის გამოიწვია, რომ ჩვენი საბჭოთა მედიცინა მაღალ დონეზე აღმოჩნდა.

მაღალი ჯილდო, რომელსაც ამხ. ბურდენკო იღებს, არის ჯილდო მისი ნიჭისათვის, მისი წარმატებისათვის სამედიცინო მეცნიერებისა და პრაქტიკის დარგში. ჩვენი ექიმები ვერ იტყვიან, რომ წარსულში ჩვენ არ გვყოლია შესანიშნავი ექიმები როგორც საზოგადოებრივი თვალსაზრისით, ისე სამედიცინო თვალსაზრისითაც. ჩემი სურვილი არის, რომ ამჟამად ჩვენ ასეთი ნიჭიერი ადამიანები მედიცინის დარგში ასობითა და ათასობით გვყავდეს.

ნება მიბოძეთ ვისურვო, რომ ჩვენი სამედიცინო მუშაკების მიღწევებმა, რომლებიც აღინიშნება ამხ. ბურდენკოს სახით, რომ ამ მიღწევებმა კი არ დაამშვიდონ ისინი, არამედ იმის ახალი სტიმული გახდნენ, რომ რუსულმა მედიცინამ შემდგომს წარმატებებს მიაღწიოს. (საერთო ტაში). ჩემი სურვილია, რომ თქვენ მძაფრად გაიმსჭვალოთ იმ აზრით, რომ რუსული მედიცინა მსოფლიო მედიცინის პირველ რიგებში უნდა იდგეს! (ტაში). მატერიალური მდგომარეობის მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით ზოგიერთ მოწინავე სახელმწიფოს, მაგრამ ინტელექტუალური და მორალური მდგომარეობით საბჭოთა ხალხი ამჟამად ძალიან მაღლა დგას. მტერზე გამარჯვების შემდეგ ჩვენ, უეჭველია, გიგანტურად წავიწევთ წინ, და მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად წინ უნდა წავიდეს ჩვენი საბჭოთა მედიცინა! (მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში). (საკდესი).

ბულგარეთის ეროვნული საბჭოს ბიულეტენი

ლონდონი, 20 მაისი (საკდესი). ბულგარეთის ეროვნული საბჭოს ბიულეტენში ნათქვამია: „ბულგარეთის ეროვნული საბჭოს ბიულეტენი ეროვნული ფრონტის ბანაკის ბოროტ ბანდიტებს, ბულგარეთის